



ჯაბა იოსელიანი მიმშლილობას აპირებს



მსგავსება ფიურერსა და სააკაშვილს შორის

მთავარი პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება **დაიჯესტი** რეტრომედია ევროპა ირჩევს ხელოვნება სპორტი ბლოგი ვიდეო

Like Send Bookmarks Email

271 წართმეული საჩუქარი



2011-04-05 16:36:17

სალომე გოგობია. "რეზონანსი"

დღეს არასამთავრობოთა კოალიცია საკურორტო ზონაში - აჭარასა და სვანეთში - საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით საზოგადოებას კვლევის შედეგებს გააცნობენ. სხვა ექსპროპრიაციებს შორის, ანგარიშში საუბარია გონიოში 271 მოქალაქისათვის 2007-2010 წლებში საჩუქრად გადაცემული და დაკანონებული მიწების უკან ჩამორთმევის შემთხვევაზე.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ სვანეთის, ანაკლიის, გონიოსა და შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიები ტურისტულ ზონებად გამოაცხადა და ინფრასტრუქტურული განვითარების ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელება დაიწყო, გაიზარდა პოტენციურ ინვესტორთა დაინტერესებაც, რაც ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას ქმნის. თუმცა, ანგარიშის თანახმად, აღმოჩნდა, რომ ტერიტორიების ტურისტულ ზონებად გადაქცევას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები შეეწირა. სახელმწიფომ მათ საკუთრების უფლება გაუქმა.

საკუთრების უფლების შელახვის ფაქტებზე არასამთავრობოთა კოალიციამ - ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველო", საია, "შეაგნე ალტერნატივა" და "საქართველოს რეგიონული მედია ასოციაცია" პროექტის "საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა" ფარგლებში კვლევა ჩაატარა. შედეგების პრეზენტაცია დღეს სასტუმრო "თბილისი - მარიოტში" გაიმართება.

მათ ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების საფუძველზე საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები შეისწავლეს.

ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია გონიოში 271 მოქალაქისათვის 2007-2010 წლებში საჩუქრად გადაცემული და დაკანონებული მიწების უკან ჩამორთმევის შემთხვევაზე. ანგარიში ამ შემთხვევის სამართლებრივ შეფასებას და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან კავშირის ანალიზს ვეთავაზობს.

შესწავლის პროცესშია სვანეთის შემთხვევები, სადაც მოსახლეობა უძრავ ქონებას საუკუნეების განმავლობაში ე.წ. "ტრადიციულ საკუთრებაში" ფლობდა და, როგორც წესი, ეს ქონება რეგისტრირებული არ არის.

"ჩვენ გვსურს, რომ საზოგადოების ყურადღების მიღმა არ დარჩეს საკუთრების შელახვის ფაქტები, რომ მოვახდინოთ ამგვარი შემთხვევების პრევენცია და აღმოფხვრა. გვინდა რეკომენდაციები შევთავაზოთ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, რომ მსგავსი საკითხების გადაწყვეტა სისტემურად მოხდეს," - ამბობს თინათინ ბოლქვაძე, ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" წარმომადგენელი.

მისივე თქმით, გონიოში მიწის საკუთრების უფლების ჩამორთმევის შედეგად ძალიან ბევრი ადამიანი საარსებო წყაროს გარეშე დარჩა. საკუთრების უფლების აღდგენის კომისიამ ამ ადამიანებს აღნიშნული მიწები ჯერ საკუთრებაში გადასცა, შემდეგ კი ჩამოართვა.

"კომისიამ უკანონოდ იმოქმედა, როგორც მოწმობების გაცემის, ასევე გაუქმების დროს," - ამბობს ბოლქვაძე. - "საქმე არაერთ კანონდარღვევასთან გვაქვს. ამას ემატება ისიც, რომ სანაცვლოდ ამ ადამიანებს კომპენსაცია არ მიუღიათ. ზოგიერთის სახლი უკვე დაანგრის, ნაწილის დემონტაჟი ალბათ ერთ-ორ თვეში მოხდება."

TV 9 LIVE

სარეკლამო ბანერი 270 X 300

სარეკლამო ბანერი 270 X 150

სარეკლამო ბანერი 270 X 150

ბლოგი



2012-03-26 14:00:38 რემინისცენცია რიშარდ კაპუმჩინსკის სტილში

სარეკლამო ბანერი 270 X 150

ვალუტა

ბოლქვამის თქმით, მათთვის უცნობია, სახელწმიფო აღნიშნულ ტერიტორიას რისთვის გამოიყენებს.

“ზუსტად არ ვიცი რის გაკეთებას აპირებენ. თუმცა, ფიგურირებენ შეიხები. ამის შესახებ ადგილობრივმა მოსახლეობამ გვიამბო. თუმცა, დანამდვილებით არავინ იცის ეს ტერიტორია შეიხებმა შესყიდეს თუ არა. თუმცა, საკუთრების უფლების აღდგენის კომისიის საოქმო გადაწყვეტილებაში ეს ტერიტორია მოხსენიებულია, როგორც შეიხების ტერიტორია. დოკუმენტში წერია, რომ მიმდინარე პერიოდისთვის მიწის ნაკვეთი წარმოადგენს დაუმუშავებელ ტერიტორიას და მდებარეობს სოფელ გონიოს მალღივ ფერდობზე. ე.წ. შეიხების მიერ შექმნილი ტერიტორიების მიმდებარედ.”

მსივე თქმით, განსახვავებული სიტუაციაა მესტიაში.

“მესტიაში ადგილობრივების დაახლოებით 90%-ს მიწა დაკანონებული არ აქვს. თუმცა, ეს არის მათ ტრადიციულ მფლობელობაში გადაცემული მიწები. საუკუნეების განმავლობაში ერთიდაიმავე ოჯახის შთამომავლობისთვის ხდებოდა ამ მიწის გადაცემა. მართალია, მათ პირდაპირ არ ართმევენ, თუმცა არც უკანონებენ. ზოგიერთ შემთხვევაში გაცემულია კომპენსაცია, მაგრამეს სასაცილო თანხაა - 3 ლარი ერთ კვადრატულზე. შემთხვევები იყო, როდესაც მალიან ბევრი აწვალეს საბუთების მოწესრიგებაში და როცა დასაკანონებლად მივიდნენ, უარი უთხრეს.

ასევე , გასათვალსიწინებელია სვანების კულტურა და ტრადიციები. როგორც წესი, სვანისთვის მიწის გაყიდვა მიუღებელია. საუკუნეების მანძილზე მიწის გაყიდვა სირცხვილად ითვლებოდა. ამიტომ ამ საკითხს ცოტა ფრთხილად უდგებიან და შიშიც კი აქვთ. ბევრს ურჩევენია, რომ ის პატარა მიწა ჰქონდეს და დაამუშაოს, იმით ირჩინოს თავი, ვიდრე სამლარიანი კომპენსაცია აიღოს.”

კახა კოჯორიძე, საიას იურისტი: “სოფელ გონიოში მცხოვრებ 271 ადამიანს საკუთრების უფლება გაუუქმდა. ამის მიზეზად განუცხადეს, რომ ეს ტერიტორიები კულტურულ-მემკვიდრეობითი დაცვის ზონაში მოექცა. კლევისას კოალიცია მნიშვნელოვანი დარღვევები გამოაფლინა. არავითარი გეგმა არ არსებობს, სამომავლოდ ამ ტერიტორიაზე რა უნდა გაკეთდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვერავითარი დოკუმენტი ვერ მოვიპოვეთ. ამ ადამიანების ნაწილმა სარჩელი სასამართლოში შეიტანა. თუმცა, დიდი ალბათობით, ქართული სასამართლო არ განიხილავს ამ საქმეს ისე, როგორც საჭიროა. სავარაუდოდ, საქმე სტრასბურგში წავა.”

სამომავლოდ, კოალიცია მსგავსი კლევის ჩატარებას ანაკლია-ზუგდიდის ტურისტულ ზონაში აპირებს. ამასთან, “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” საკუთრების უფლებამართმეულების სასამართლო პროცესებზე მონიტორინგს განახორციელებს.

Like Send Bookmarks Email

ნახაზია: 1-ჯერ [კომენტარები:](#)

გაიარეთ რეგისტრაცია
სახელი:
პაროლი:
შესვლა

Table with exchange rates: USD - 1.6294, CAD - 1.6015, EUR - 2.0685, AMD - 3.9217, GBP - 2.5635, JPY - 2.0633, TRY - 0.9093, UAH - 2.0387, RUB - 5.0110, AZN - 2.0738

სარეკლამო განმეო
270 X 150

ამინდი
თბილისი
ღღს ხვალ ზმზ
14° 30° 12° 31° 16°

სარეკლამო განმეო
270 X 150